გავზარდოთ მომთხოვნელობა ავამაღლოთ გამოცდის ავტორიტეტი

უკვე რამდენიმე დღეა გამოცდები მიმდინარეობს. მრავალი სტუდენტი წარდგა გამოცდაზე პირნათლად და თავის მატრიკულში ფრიადების რიცხვი გაამრავლა. მოპოვებული წარმატებების შემდეგ მრავალი სტუდენტის გული აივსო სასიამოვნო განცდებით. განსაკუთრებით ახარებს ჩვენს ახალგაზრდობას წარმატება, რომელიც ძნელი გზის გადალახვით, დაუღალავი შრომით დამსახურებულადაა მოპოვებული. იოლი გზით მიღწეული წარმატება იაფფასიანია, მისი ავტორიტეტიც არ არის მაღალი, მისი შედეგი ხანმოკლეა.

ახეა გამოცდების დროსაც. ნიშანი ფრიადი, რომელიც მოპოვებულია ხანგრძლივი შრომის შედეგად, სისტემატური მეცადინეობით, არა ერთი და ორი სპეციალური თუ დამხმარე ლიტერატურის შესწავლითა და დამუშავებით, დიდ აღფრთოვანებას, უდიდეს სიხარულს იწვევს სტუდენტის გულში, მით უმეტეს, როცა სტუდენტს საშუალება ეძლევა გამომცდელს ფართოდ აჩვენოს თავისი ხანგრძლივი მუშაობის ეს შედეგი. მაგრამ იშვიათი როდია, როდესაც ახალგაზრდა ორიოდე დღის მეცადინეობით, სალექციო კურსის კონსპექტის გადათვალიერებით აღებს მაღალი ნიშნის მიღებას. ცხადია, შემდეგში ასე მომზადებული საგანი თვით სტუდენტის თვალშიც ვერ ისარგებლებს პატივისცემით, ხოლო ასეთი გზით მოპოვებული წარმატების შედეგები მეტად უმნიშვნელო იქნება,—ამგვარად მეცნიერება არ შეისწავლება.

უნივერსიტეტის ყოველი მასწავლებელი, ყოველი გამომცდელი უნდა უფრთხილდებოდეს თავისი საგნის ავტორიტეტს. სტუდენტის პასუხის მოსმენის დროს იგი ღრმად უნდა დარწმუნდეს, რომ ამ საგნის მომზადებით ახალგაზრდას საფუძვლიანი ცოდნა შეუძენია, რომ მას ეს ცოდნა ცხოვრების პრაქტიკულ სარბიელამდე მიჰყვება.

თუ საჭიროება მოითხოვს, გამომცდელმა დრო არ უნდა დაზოგოს გამოსაცდელის დასარწმუნებლად, რომ მას დასჭირდება საგნის მეტი სიღრმით შესწავლა რომ არავითარი გამართლება არა აქვს საგნის იმგვარად ჩაბარებას, როცა ერთგვარი ცოდნა, რომელიც სტუდენტს ზერელე მუშაობით მიუღია, გამოცდის ჩაბარებისთანავე ავიწყდება. გამოცდის ამგვარად ჩაბარების შესახებ ზოგჯერ თვითონ სტუდენტებისაგან გაიგონებთ: „საგანი ჩავაბარე და ცოდნაც იქ დავტოვე".

ამიტომ საჭიროა გამომცდელმა მასწავლებლებმა მეტი მომთხოვნელობა გამოვიჩინოთ გამოცდაზე. სათანადოდ დავაფასოდ სტუდენტის მიერ გაწეული შრომა ამავე დროს მოვთხოვოთ მას სიზარმაცისათვის. გამოცდა იმგვარად უნდა ჩავატაროთ, რომ სტუდენტი დავარწმუნოთ ორ-სამ დღეში საგნის მომზადებით მაღალი შედეგის მიღწევის შეუძლებლობაში. თუ სტუდენტი საწინააღმდეგო რწმენით გავიდა გამოცდიდან, ეს იმას ნიშნავს, რომ გამომცდელმა ხელი შეუწყო მის დამახინჯებას, მასში იოლი გზით სიარულის ჩვევის განმტკიცებას, მასში არაშრომისმოყვარეობის დანერგვას.

იშვიათი როდია, მაგალითად, ისეთი შემთხვევა, როცა ჯგუფში გამოსაცდელია 25 კაცამდე. გამოცდა ჩვეულებრივ დილის ცხრა საათზე იწყება და დღის 1 საათზე უკვე დამთავრებულია. 20-25 კაცი გამოიცადა ოთხიოდე საათში. როგორილაა გამოცდის შედეგი? დასმული ნიშნების მიხედვით მდგომარეობა იდეალურია: რამდენიმე კარგი, დანარჩენი ფრიადი, სხვა შეფასება კი არ ჩანს.

არ არის გამორიცხული, რომ ჯგუფის 20-25 კაციდან ყველა მუყაითად შრომობდეს და სავსებით დამსახურებულად ფრიად შეფასებასაც იღებდეს. ეს მხოლოდ სიამოვნებას იწვევს და მივესალმებით კიდეც მას. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ წელს სტიპენდიების დანიშვნის ახალი წესის შემოღებასთან დაკავშირებით ყოველგვარი საფუძველი გამოეცალა მაღალი ნიშნების ლიბერალურად დაწერის პრაქტიკას, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი სტუდენტების მიერ მიმდინარე გამოცდებზე მიღებული მაღალი შეფასებანი ობიექტურად ასახავენ მათს მომზადებულობას. მაგრამ, ამასთან ერთად, არ შეიძლება არ ჩავუფიქრდეთ იმ გარემოებასაც, რომ ზოგჯერ გამოცდაზე ფრიადებსა და კარგებს იღებენ ის სტუდენტებიც, რომლებიც ხანატრელ სტუმრებს წარმოადგენენ ლექციებზე, ანდა მოუმზადებელი ცხადდებოდნენ სემინარებზე და პრაქტიკულ მეცადინეობებზე. ცხადია, თუ ასეთმა სტუდენტებმა ორიოდე დღის მუშაობით მაინც მოახერხეს მაღალი ნიშნის მიღება, ეს იმას ნიშნავს, რომ საფუძვლიანად არ იქნა შემოწმებული მათი ცოდნა.

სტუდენტი შედის გამოცდაზე, იღებს ბილეთს და ფიქრობს საკითხებზე. ვინაც ამა თუ იმ საკითხზე ცოტა აქვს წაკითხული, იმას ღიღხანს ფიქრი არ სჭირდება, საკითხის თანმიმდევრულად ჩამოყალიბებისათვის თავის შეწუხება არ უხდება. მით უმეტეს, რომ ზოგჯერ გამოცდებით „დაღლილი" ლექტორი საკითხზე მოკლე პასუხს მოითხოვს. სწორედ ამ გარემოებებით სარგებლობს სტუდენტი. მოფიქრებისათვის მოცემულ დროში აზერხებს „დამხმარე მასალებში" თვალის ჩავლებას, რის შედეგადაც ბილეთში მოცემულ ყოველ საკითხზე შეუძლია რაღაც თქვას. გამომცდელი ისმენს პასუხს. სტუდენტი ამბობს იმას, რაც მან იცის და გადადის სხვა საკითხზე. აქაც იგივე მეორდება და მალე მესამე საკითხიც „ამოწურულია" (ასეთი პრაქტიკა გამოცდისა უფრო ხშირია ჰუმანიტარულ დისციპლინებში) და საჭირო ნიშანიც მოპოვებულია!

ისმება კითხვა: ყოველთვის ვეკითხებით თუ არა სტუდენტს დამატებით იმას, რაც მოცემული საკითხის შესახებ უნდა ცოდნოდა, მაგრამ მის პასუხში არ ჩანდა? ან ვარკვევთ თუ არა სტუდენტის ცოდნას მოსაზღვრე საკითხებში, რათა ამით უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ მის მომზადებულობაზე? — სამწუხაროდ, ამას ყოველთვის როდი ვაკეთებთ და ესაა მიზეზი, რომ ზოგჯერ სტუდენტს დაუმსახურებელ ნიშანს ვუწერთ. სტუდენტის ცოდნა ფასდება არა ერთი-ორი საკითხის, არამედ მთელი საგნის მიხედვით, ამიტომ გამოცდაზე დამატებითი საკონტროლო კითხვების მიცემა აუცილებელია. ლექტორმა შეიძლება მალე აუღოს ალღო გამოსაცდელი სტუდენტის ცოდნას, მაგრამ ამაში დარწმუნებაა აუცილებელი — როგორც ლექტორისა, ისე თვით სტუდენტისა. განსაკუთრებული სიმწვავით უნდა დაისვას ეს საკითხი სპეციალობათა მიხედვით საპროფილო საგნებში. ნუ დავზოგავთ ენერგიასა და დროს იმისათვის, რომ სტუდენტის ცოდნა მაქსიმალური ობიექტურობით იქნეს შეფასებული. ვიბრძოლოთ მინიმუმამდე დავიყვანოთ შემთხვევითობა, აღმოვფხვრათ ფორმალისტური დამოკიდებულება გამოცდის პროცესისადმი, ასეთია გამომცდელი მასწავლებლებისადმი წაყენებული უპირველესი მოთხოვნილება.

უნივერსიტეტის კოლექტივის უმთავრესი მიზანია ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდა, მათი შეიარაღება მეცნიერების მიღწევებით. ეს კი იოლი გზით არ მოხერხდება. დაძაბული შრომაა საჭირო როგორც პროფესორ-მასწავლებლების, ისე სტუდენტების მხრივ. ჩვენი ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა კეთილსინდისიერად მუშაობს სასწავლო წლის განმავლობაში და წელგამართული გაბედულად მოდის გამოცდაზე. ზოგიერთი სტუდენტი კი მოდის გამოცდაზე... მაგრამ გაძრომის იმედით. ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ყველა ეს „გაძრომის" გზა მოვუჭრათ იოლი გზით მოსიარულეებს! მხოლოდ ამით ვაიძულებთ მათ რომ ყველანი მეცადინეობდნენ სისტემატურად, ენერგიულად და მუყაითად.

დღეს ნომერში

- გავზარდოთ მომთხოვნელობა, ავამაღლოთ გამოცდის ავტორიტეტი
- საგამოცდო სესიების დღიური
- ფოტომიმოხილვა
- მოგვითხრობენ პრაქტიკაზე მყოფი ჟურნალისტები
- ქართულად ამეტყველებული ჩინური მარგალიტები
- ღატარია — „საკავშირო ახალგაზრდობის ფესტივალი"
- ერთ-ერთი ყველაზე რთული ტრასა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გამოცემის მეექვსე წელი

ახალგაზრდა სტალინელი

№ 3 (175)
პარასკევი
18
იანვარი
1957 წ.
ფასი 20 კაპ.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

★

— მომილოცავს კიდევ ერთი ფრიადი! — უხსნება პროფ. გ. ციციშვილი ქიმიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტს ლ. გრიგოლაშვილს, რომელმაც დღეს ნივთიერების აღნაგობაში შესანიშნავი პასუხისათვის უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

პირველი ფრიადი

7 იანვარს, 106 აუდიტორიის წინ შეკრებილიყვნენ ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილების II კურსის სტუდენტები. მათ სახეებს ღელვების კვალი ემჩნეოდა. ისინი დღეს პირველ გამოცდას ლათინურ ენაში აბარებდნენ და მოუთმენლად ელოდნენ გამოცდაზე გასული პირველი სტუდენტის გამოსვლას.

აი, გაიღო აუდიტორიის კარები და სახეგაბრწყინებული ლიანა ახობაძე გამოვიდა. ამხანაგებმა მის მატრიკულში 5-იანი დაინახეს... ეს იყო პირველი ხუთიანი. ამის შემდეგ აუდიტორიიდან გამოსული გოგონები ხუთივე თითის გაშლით აუწყებდნენ ამხანაგებს წარმატებას.

მ. ასათიანი,
თ. ჭილორაძე,

ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განხრის II კურსის სტუდენტები.

სპეციალური საგანი — წარმატებით ჩააბარეს

ვისაც პროფესორ ნიკოლოზ იაშვილის ლექცია ერთხელ მაინც მოუსმენია, მასზე წარუშლელ შთაბეჭდილებას მოახდენდა მისი უაღრესად საინტერესო, მიმზიდველი და შინაარსიანი ლექციები, მით უფრო, აღნიშნული პროფესორის ლექციებით დაინტერესებული იყვნენ ეკონომიური ფაკულტეტის IV კურსის სოფლის მეურნეობის ჯგუფის სტუდენტები, რომელთაც პროფესორი ნ. იაშვილი უკითხავდა სპეციალურ საგანს — სოფლის მეურნეობის ეკონომიკას. სტუდენტების სისტემატური დასწრება ლექციებზე, იმავე საგანში სემინარულ მეცადინეობაზე (რომელსაც უფროსი მასწავლებელი ო. სალარეიშვილი ატარებდა) სტუდენტთა აქტიური მონაწილეობა, — ყოველივე ეს იმის პირობას ქმნიდა, რომ აღნიშნული ჯგუფის სტუდენტებს სპეციალური საგანი წარმატებით დაეძლიათ. ეს ასეც მოხდა: 15 იანვარს სოფლის მეურნეობის მომავალი ეკონომისტები პროფესორის წინაშე წარდგნენ გამოცდის ჩასაბარებლად. საგნის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნეს მოწინავე სტუდენტებმა: ე. მოსიამ, შ. დათუკიშვილმა, შ. იმნაიშვილმა, ნ. დგებუაძემ, შ. ჯავახიამ და სხვებმა.

მხოლოდ ოთხმა სტუდენტმა მიიღო დამაკმაყოფილებელი შეფასება. დანარჩენებმა ფრიადებით და კარგებით დაამშვენეს თავიანთი მატრიკულები. ასეთი შედეგი მათი ენერგიული და მუყაითი შრომის ნაყოფია. ბარაქალა ასეთ მუშაობას!

როცა სემინარის ხელმძღვანელი უფროსი მასწავლებელი ო. სალარეიშვილი გამოცდის შედეგებს გაეცნო, მიღწეული წარმატებანი არც გაკვირვებია და თქვა: „დამსახურებული წარმატებაა". სხვა საგნებშიც ვუსურვოთ მათ მიღწევები!

რ. გოგოხია.

ეკონომიური ფაკულტეტის ალკკ ბიუროს მდივანი.

საგამოცდო სესიების დღიური

აი რა გვიჩვენა გამოცდების პირველმა დღეებმა

გამოცდების ცხარე დღეებია. უნივერსიტეტის კედლები მრავალი ასეთი დღის მოწმენი არიან. ისინი ამჟამადაც მშვიდად შეჰყურებენ სტუდენტების ეჟვენლო ფუსფუსს, ისმენენ ასობით სტუდენტის წარმატების გამომხატველ სიხარულს, ისმენენ წარუმატებელთა, დამარცხებულთა წუხილსაც. უნივერსიტეტის ყოველ აუდიტორიაში, დერეფანში, საქართველო დარბაზში, კაბინეტში, ლაბორატორიებსა თუ სამლოცველებში — ყველგან გამოცდების ციებ-ცხელებაა, უნივერსიტეტის კორპუსების ყოველ კუნჭულში გამოცდების ატმოსფერო სუფევს.

პირველკურსელთა პირველი შედეგები

განსაკუთრებული მღელვარება ემჩნევათ პირველკურსელებს. მათ ხომ პირველად უხდებათ უნივერსიტეტში სასესიო საგნების ჩაბარება.

გამოცდა ჩააბარეს ისტორიის ფაკულტეტის პირველკურსელებმა არქეოლოგიაში. 11 სტუდენტმა ფრიადი დაიმსახურა, 12-მა — კარგი, ხოლო გ. ლომჯარიამ და ა. კველიშვილმა — დამაკმაყოფილებელი. 23 ფრიადისა და კარგის გვერდით 2 დამაკმაყოფილებელი. როგორც ჩანს ჯგუფი საერთოდ ძლიერია, კარგად მომზადებული გამოცდისათვის.

წელს პირველკურსელ იურისტებს აქვებენ. ლოგიკაში 13 კაციდან 11-მა კარგი დაიმსახურა, ორმა — ფრიადი. ფილოსოფიის განყოფილების სტუდენტებმა კი ძველი ისტორია ჩააბარეს. გამოცდაზე 11 სტუდენტი გავიდა, აქედან შვიდმა ფრიადი მიიღო, ორმა — კარგი, ორმა კი — დამაკმაყოფილებელი. ფსიქოლოგიის სპეციალობის პირველკურსელებმა ჩააბარეს ნერვული სისტემის ანატომია და ევოლუცია. აქ 5 სტუდენტია და ხუთივე ოჩეული აღმოჩნდა. მათ საგამოცდო ფურცელში მხოლოდ ფრიადები დაიწერა.

დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის განყოფილების I კურსის სტუდენტებმა ჩააბარეს სპეციალური საგნები — ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენები. ფრიადებისა და კარგების გვერდით დამაკმაყოფილებელი ნიშნებიც საკმაოდ არის საგამოცდო ფურცელში: ინგლისურში 1 დამაკმაყოფილებელია, ფრანგულში — 4, გერმანულში — 5. ამ სტუდენტებმა უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე კარგები და ფრიადები დაიმსახურეს. რა მოხდა ამის შემდეგ? უნივერსიტეტში მათ კარგად აღარ იმუშავეს. ალბათ ეგონათ, აქ მოულოდნელი ცოდნით გაფურჩქნენ ცოდნს, მაგრამ არ გამართლდათ. სპეციალურ საგანში თუ ისინი უკეთ არ აპირებენ მუშაობას, ჯობს ახლავე იკრებდნენ გუდა-ნაბადს და მიდიოდნენ უნივერსიტეტიდან. აი ამ სტუდენტთა გვარები: მ. გოგიტიძე, თ. ალექსიძე, დ. ალნიაშვილი, ა. მეტონიძე, ლ. შინდაგორიძე, ნ. აბესაძე, მ. გზირიშვილი, ნ. ქადაგიშვილი, ლ. ქუმბურიძე და ჯ. ჩხიკვაძე.

კარგი მაჩვენებლები აქვთ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის პირველკურსელებს. 13 სტუდენტი გავიდა გამოცდაზე ენათმეცნიერების შესავალში და მათგან ექვსმა ფრიადი მიიღო, შვიდმა კი — კარგი.

საგულისხმო მომზადებით შეხვდნენ გამოცდებს ეკონომიური ფაკულტეტის I კურსის სტუდენტებიც. მათ უკვე ჩააბარეს სახალხო მეურნეობის ისტორია და ტექნოლოგია. სახალხო მეურნეობის ისტორიაში ეკონომიური ფაკულტეტის ოთხივე ჯგუფიდან გამოცდაზე 61 სტუდენტი გავიდა. აქედან ფრიადი შეფასება 28 სტუდენტმა დაიმსახურა, კარგი — 24-მა, ხოლო დამაკმაყოფილებელი — ცხრამ. საერთოდ ჯგუფში ნორმალური შედეგებია, მაგრამ ფრიადისა და კარგის მქონე 52 სტუდენტის გვერდით კარგად თუ გრძნობს თავს ის 9 სტუდენტი, რომელთაც მხოლოდ დამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღეს?

მაღალი შედეგები აქვთ აღნიშნული ფაკულტეტის პირველკურსელებს ტექნოლოგიაშიც. ამ საგანში გამოცდა ჩააბარეს მრეწველობის ეკონომიკისა და ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობათა ჯგუფებმა. გამოცდაზე 34 სტუდენტი გავიდა. აქედან ფრიადი 17-მა მიიღო, კარგი — 15-მა, დამაკმაყოფილებელი — ორმა. 32 კარგისა და ფრიადის გვერდით 2 დამაკმაყოფილებელს მაჩანჩალის როლი ეკისრება. ამათაც ხომ შეეძლოთ მოწინავეთა შორის ყოფილიყვნენ?

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე პირველი კურსის სტუდენტებმა გეოდეზია და მეტეოროლოგია-კლიმატოლოგია ჩააბარეს. ორივე საგანში დაიწერა 49 ნიშანი. აქედან 30 ფრიადია, 16 კარგი და სამიც დამაკმაყოფილებელი. თუ ამ სამ დამაკმაყოფილებელს არ მივიღებთ მხედველობაში, საუცხოო მოსწრებაა.

ზემოთ წარმოდგენილი იყო მონაცემები I კურსის სტუდენტთა გამოცდებისა ისტორიის, იურიდიულ, ეკონომიურ, და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტებზე. საერთოდ, მოყვანილი მაჩვენებლების მიხედვით ძალიან კარგი მდგომარეობაა. ჩვენი ვალია განვამტკიცოთ ეს წარმატება. ფრიადებისა და კარგების ასეთი სიუხვე მისასალმებელია, თუ ეს ნიშნები ყოველთვის ნამდვილად ასახავენ სტუდენტის რეალურ ცოდნას.

გადავხედოთ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის I კურსზე გამოცდების სურათს. აქ 7, 8 და 9 იანვარს გამოცდები ტარდებოდა მათემატიკურ ანალიზში. ამ საგანს მათ პროფესორი არჩილ ხარაძე ასწავლის, რომელსაც დიდი პედაგოგიური გამოცდილება აქვს და, ბუნებრივია, გამოცდის დროსაც საჭირო მოთხოვნებს უყენებს სტუდენტებს.

როგორია შედეგი? მოგვყავს მონაცემები: სამი დღის განმავლობაში გამოცდაზე გავიდა 39 სტუდენტი. მათ შორის ფრიადი შეფასება 10-მა სტუდენტმა მიიღო, კარგი — ცხრამ, დამაკმაყოფილებელი — თერთმეტმა, არადამაკმაყოფილებელი — ორმა. ე. ი. ფრიადი და კარგი აქვს გამოცდილ სტუდენტთა საერთო რაოდენობის მხოლოდ ნახევარს. ზემოთ კი ჩვენ ვნახეთ, რომ სტუდენტთა დიდი უმრავლესობის ცოდნა ფასდებოდა ფრიადსა და კარგზე. პროფესორი არჩილ ხარაძე ყოველი სტუდენტის გამოცდას ანდომებს აუცილებლად საჭირო დროს და მისი დაწერილი ნიშანიც ზედმიწევნით ასახავს სტუდენტის ცოდნას. სტუდენტი, რომელიც დაბალ ნიშანს ღებულობს მასთან, დარწმუნებულია, რომ მისი ცოდნის შეფასება მხოლოდ ამ ნიშანზე შეიძლებოდა. ყველა გამომცდელი რომ ამგვარად იქცეოდეს, ცოდნის ხარისხისათვის ბრძოლის ამოცანა უკეთ გადაიჭრებოდა ჩვენს უნივერსიტეტში.

ვუსურვებთ პირველკურსელებს შემდგომ წარმატებებს.

როგორ აბარებენ უფროსკურსელები

ვგების, მაღალ მაჩვენებლებს მხოლოდ პირველკურსელებმა მიაღწიეს! არა, მაღალ კურსებზედაც ბლომად იწერება ფრიადები და კარგები. უნივერსიტეტის კოლექტივს კარგი ჩვეულება დამკვიდრდა, მოსავალი თუ „უდანაკარგოდ" ავიღეთ, იმდენ ფრიადსა და კარგს დავახვავებთ, რომ მომავალ საგამოცდო სესიაზედაც გვეყოფა.

აი, ჟურნალისტიკის განყოფილების III კურსის წარმატებებს გეცნობით. კურსს ჩაბარებული აქვს ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია (გამომცდელი პროფ. შ. რადიანი), გამოცდაზე გასული 24 სტუდენტი. 21-ს ფრიადი მიუღია, 3-ს კარგი.

ეს-ესაა, ამ კურსმა გამოცდა ჩააბარა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაშიც. შედეგი? — ბრწყინვალე. ჯერ არნახული: გამოცდაზე 24 სტუდენტიდან 22-მა ფრიადი მიიღო, 2-მა კარგი (გამომცდელი დოც. ი. ბოცვაძე). შეიძლება გაგიკვირდეთ: როგორ, თითქმის მთელი ჯგუფი ერთნაირად მომზადებული როგორ გამოცხადდა გამოცდებზე. მაგრამ ფაქტია. ეტყობა სტუდენტები კარგად მომზადებული მისულან. ნათქვამია, ფაქტი ჯიუტიაო.

ისტორიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტებმა ჩააბარეს ფსიქოლოგია (გამომცდელი პროფ. რ. ნათაძე), მეტად საინტერესო, მაგრამ საკმაოდ რთული საგანი. სტუდენტებმა, რომლებიც თავიდანვე მეცადინად მუშაობდნენ, ფრიადები და კარგები დაიმსახურეს. (13 ფრიადი და 13 კარგი), მაგრამ, სამწუხაროდ, 21 სტუდენტი ვერ აღმოჩნდა თავის სიმაღლეზე და ისინი მხოლოდ დამაკმაყოფილებელს დასჯერდნენ; ერთმა კი არადამაკმაყოფილებელიც „მოახერხა". რას იზამ, ყოველთვის ვერ გაძვრები!

აი, იურიდიული ფაკულტეტის მეორე და მესამეკურსელებს პოლიტეკონომია ჩაუბარებიათ. II კურსზე 25 სტუდენტია. აქედან 10-ს ფრიადი დაეწერა, 10-ს კარგი და 5-ს დამაკმაყოფილებელი. მესამეკურსელებიდან გამოცდა 13-მა ჩააბარა. შედეგი ასეთია: 8 ფრიადი, 4 კარგი და 1 დამაკმაყოფილებელი. ფილოსოფიის განყოფილების II კურსის სტუდენტებმა ჩააბარეს ლოგიკა და დიალექტიკური მატერიალიზმი. შედეგად სულ ფრიადები და კარგებია.

ეს მშრალი ციფრები სხვა ფაკულტეტებიდანაც უნდა გაგაცნოთ. სხვა თუ არაფერი, საერთო შთაბეჭდილება ხომ შეიქმნება გამოცდების მსვლელობის შესახებ.

დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ზოგიერთი სტუდენტი, როგორც ჩანს, ზედა კურსებზეც განაგრძობს სიზარმაცეს. მაგ., II კურსზე (ინგლისური განყოფილება) 5 ფრიადისა და 4 კარგის გვერდით ორი დამაკმაყოფილებელი და ორიც — არადამაკმაყოფილებელი დაიწერა. ორიანი ინგლისურში III კურსზედაც დაიწერა. მათ გვარებს ქვემოთ გაგაცნობთ.

ეკონომიური ფაკულტეტის საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობის II კურსის სტუდენტებს პოლიტეკონომიაში (გამომცდელი პროფ. არჩ. ფანცხავა) ვერ მოუხერხებიათ ფრიადებისა და კარგების დახვავება. ასეთი ნიშანი აქ 11 სტუდენტს მიუღია (ფრიადი — 3, კარგი — 8), 13-ს კი დამაკმაყოფილებელი, ერთსაც — არადამაკმაყოფილებელი. დაახლოებით ასეთივე სურათია პოლიტეკონომიაში მრეწველობის სპეციალობის III კურსზე (გამომცდელი დოც. ი. ბაჯაძე). გამოცდაზე გავიდა 27 სტუდენტი. დაიწერა: 5 ფრიადი, 12 კარგი, 9 დამაკმაყოფილებელი და 1 არადამაკმაყოფილებელი. როგორც ჩანს, პოლიტეკონომიის გამოცდის ჩასაბარებლად მეტი ოფლის დაღვრა სჭირდებათ სტუდენტებს. მრეწველობის სპეციალობის მესამეკურსელებს საგრძნობლად დიალექტიკურ მატერიალიზმში უკეთ უშრომიათ და შედეგიც ასეთია: 14 ფრიადი, 14 კარგი და მხოლოდ 1 დამაკმაყოფილებელი.

აქ შევწყვეტთ. ზოგან მეტია ფრიადი და კარგი, ზოგან ნაკლები. გასაკვირი აქ არაფერია. ადამიანებთან გვაქვს საქმე. ზოგი უკეთ აბარებს საგანს, ზოგიც უარესად. ამიტომ ზოგს ფრიადსა და კარგს უწერენ, ზოგსაც დამაკმაყოფილებელს. ლექტორებიც ხომ ადამიანები არიან, სტუდენტის ცოდნის შეფასების საქმეში რამდენადმე განსხვავებული მიდგომა მათაც აქვთ. ერთ-ერთი მიზეზი ესეც უნდა იყოს, რომ ზოგი მათგანი უფრო უხვად წერს ფრიადსა და კარგს, ზოგიც ძუნწობს. ვფიქრობთ, აჯობებს ასეთი „მეძუნწეებისაგან" ზოგი რამ ვისწავლოთ.

მედლოსნები გამოცდებზე

უნივერსიტეტში წელს ბევრი მედლოსანი ჩაირიცხა. მედლოსანი, რომელიც უნივერსიტეტში შემოსვლის დროსაც შეამოწმეს, ცხადია, საიმედო შევსება იყო ჩვენი კონტინგენტისა. ასეც არის. მათი დიდი უმრავლესობა საგნებს ფრიადებსა და კარგებზე აბარებს, მაგრამ არც თუ იშვიათია, რომ მედლოსანი სტუდენტი უნივერსიტეტში სამებს იღებს. სამწუხარო ფაქტია. ამ ამხანაგებს ჩვენ არ მოვერიდებით და მათს გვარებს დავასახელებთ. თვითონ ხომ არ ერიდებოდნენ საკუთარი თავისა და სკოლის ავტორიტეტს და ვერ იცავდნენ მას ჯეროვნად. ნურც ჩვენ დავზოგავთ და ვამხილოთ სიზარმაცის მოყვარული ახალგაზრდები. მაგალითად, მათემატიკურ ანალიზში ვერცხლის მედლოსნებმა ლ. კობიაშვილმა, ქ. მუსხელიშვილმა, ლ. სხირტლაძემ და რ. გოგიჩაიშვილმა დამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღეს. ანალიზურ გეომეტრიაში დამაკმაყოფილებელზე შეფასდა ვერცხლის მედლოსნების ე. გობრონიძისა და ე. ქავთარაძის ცოდნა; უმაღლეს მათემატიკაში ვერცხლის მედლოსნებმა გ. გოგიბედაშვილმა, უ. ალაიძემ, ა. მელაძემ, ვ. ცომაიამ და რ. ნებიერიძემ დამაკმაყოფილებელი მიიღეს. ეს უკანასკნელი (რ. ნებიერიძე) მედლოსანთა კონკურსში ვერ გავიდა და უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებს აბარებდა. მან კონკურსში დამსახურებულად გაიმარჯვა და უნივერსიტეტშიაც ჩაირიცხა. მაგრამ რა გააკეთა ამის შემდეგ მან უნივერსიტეტში? როგორც ჩანს, იზარმაცა.

სამოსანთა შორის ამ საგანში ოქროს მედლოსნებიც არიან. აი, მაგალითად, ნ. ბერაძე და ნ. ხარაბაძე. რას იტყვიან ეს ამხანაგები?

ფიზიკის ფაკულტეტის რუსულ სექტორზეც მოიძებნებიან ასეთი მედლოსნები. მაგალითად, უმაღლეს მათემატიკაში ი. ბაზიაკოვას, ნ. დოგიუსტის და ე. ლებედევას (ოქროს მედლოსანი) ცოდნა დამაკმაყოფილებელზე შეფასდა. 5%-იანი გამოშვების დიპლომით შემოვიდა უნივერსიტეტში ა. ბერგერი, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ამართლებს ამ დიპლომს: ამანაც უმაღლეს მათემატიკაში დამაკმაყოფილებელი მიიღო.

ამჟამად ამ სტუდენტთა გვარების დასახელებით ვკმაყოფილდებით. თუ ესენი კვლავაც ასეთ „წარმატებებს" მოიპოვებენ, მაშინ ჩვენ დავწერთ იმ სკოლების შესახებაც, საიდანაც ისინი მოვიდნენ და ვთხოვთ დეკანატებსა და კომკავშირის ორგანიზაციებს (ეს სტუდენტები კომკავშირლები არიან), შეატყობინონ სკოლებს, როგორ ავლენენ თავს მათგან გამოზრდილი მედლოსნები.

რას იტყვიან ორიოსნები?

ჩვენ ვკიცხავთ იმ სტუდენტებს, რომელთაც დამაკმაყოფილებელი ნიშნები მიიღეს. მაგრამ მათ ხომ მაინც შეძლეს საგნის ჩაბარება! ჩვენ მათ ვებრძვით უხარისხობისათვის.

რაღა უნდა ვთქვათ იმ სტუდენტებზე, რომელთა პირველი გამოცდები პირველი ორიანებით აღინიშნა? სხვათა შორის, ამდენი ფრიადებისა და კარგების ზღვაში მათი პოვნა არც თუ ადვილია: გამოცდების რამდენიმე დღის განმავლობაში ზოგ ფაკულტეტს არცერთი ორიანი სტუდენტი არ ჰყავს. თითო-ოროლა ორიოსანს თუ წავაწყდებით სადმე, ეს ჩვენი მუშაობის ცუდ მხარეზე საგულისხმო არ მიგვითითებს. ასეთ დიდ კოლექტივს, როგორიც ჩვენი უნივერსიტეტია, რამდენიმე ულირსიც რომ გამოერევა, არ უნდა გაგვიკვირდეს. მთავარი კი ის არის, რომ მათი რაოდენობა მინიმუმამდე დასულა.

ისტორიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა ე. დანელიამ ფსიქოლოგიაში არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო. ასევე, მხოლოდ ერთი ორიანია დაწერილი ბიოლოგიის ფაკულტეტზე და მისი „მფლობელი" გ. კეკნაძე გახლავთ.

დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები ც. გეგეშელი და მ. რატიანი სემესტრის განმავლობაში ისე ბრწყინვალედ ატარებდნენ დროს, რომ ინგლისურ ენაში არადამაკმაყოფილებელი მიიღეს. მათ არ ჩამორჩა სპეციალურ საგანში მესამეკურსელი ე. ჯამაგიძე და ამანაც ინგლისურში მიიღო არადამაკმაყოფილებელი. ეს ამხანაგი სპორტსმენია. მას ზოგიერთი წარმატება აქვს ამ დარგში, მაგრამ ეს როდი კმარა. ბევრი ჩვენი სპორტსმენი სტუდენტი სანიმუშო სტუდენტიცაა, სწავლითაც გამოირჩევა. ეს ასეც უნდა იყოს. ე. ჯამაგიძე კი ჩირქს სცხებს სპორტსმენის საპატიო სახელს.

ეკონომიური ფაკულტეტის საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობის II კურსის სტუდენტმა ლ. მამულაშვილმა პოლიტეკონომიაში არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო. ამავე საგანში მრეწველობის სპეციალობის მესამეკურსელმა ლ. ყუფარაშვილმაც იგივე „წარმატებას" მიაღწია. ხოლო ამავე კურსის სტუდენტები ა. გობრონიძე და ე. კილასონია აგრეთვე პოლიტეკონომიაში — ერთ-ერთ სპეციალურ საგანში — ორიანებად ვვლინდებიან.

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გეოლოგიის სპეციალობის I კურსის სტუდენტმა გ. სურგულაძემ „ასახელა" ფაკულტეტი იმით, რომ მხოლოდ ამ ერთმა კაცმა „მოახერხა" ტოპოგრაფიაში არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღება. მისი ამხანაგები რომ სისტემატურად მუშაობდნენ და გამოცდაზე მაღალ შედეგებს მიაღწიეს, გ. სურგულაძე რაღას აკეთებდა?!

მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებმა ზ. ასათიანმა, ო. ძორელაშვილმა და ე. ონიკაშვილმა მათემატიკურ ანალიზში მიიღეს არადამაკმაყოფილებელი შეფასება. პირველი მათგანი (ზ. ასათიანი) ვერცხლის მედლოსანია. აი, როგორ შეხვდა ის პირველ სასესიო გამოცდას უნივერსიტეტში. ამავე საგანში II-კურსელებმა: ნ. ვერძეულმა, ე. ცერცვაძემ, გ. როსტიაშვილმა და ც. ქაჯაიამ აგრეთვე ორიანები დაიმსახურეს. ესეც დიდებული „დამსახურებაა"!

ფიზიკის ფაკულტეტის პირველკურსელმა მარიამ ტატუნაშვილმა, ვერცხლის მედლოსანმა, უმაღლეს მათემატიკაში მიიღო არადამაკმაყოფილებელი ნიშანი. აგრეთვე არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო ვერცხლის მედლოსანმა ი. ბასიშვილმა ზოგად ქიმიაში, ხოლო ვერცხლის მედლოსანმა ლ. სვანიძემ ზოგად ფიზიკაში „მოიპოვა" ასეთივე შეფასება.

ფიზიკის ფაკულტეტის რუსული განყოფილების I კურსის სტუდენტის ვ. რიჟკოვის (რომელიც ვერცხლის მედლოსანია) ცოდნა ზოგად ქიმიაში არადამაკმაყოფილებლად იქნა შეფასებული.

აი, როგორ „ასახელეს" ამ ამხანაგებმა მშობლიური სკოლა, როგორ გაამართლეს მათ საპატიო სახელი მედლოსნისა!

გამოვაჩინოთ ფრიადოსნები

— ჩვენ მკითხველს გავაცანით იმ სტუდენტების გვარები, რომელთაც დამაკმაყოფილებელი ან არადამაკმაყოფილებელი ნიშნები მიიღეს, ხოლო ფრიადოსნებიდან არცერთი არ დაგვისახელებია. ჩამორჩენილები დავასახელეთ იმიტომ, რომ ისინი ცოტანი არიან და არ უნდა გვყავდნენ. დანარჩენები ხომ ჩვენი საამაყო ფრიადოსანი და კარგოსანი სტუდენტები არიან! მათი რიცხვი ღიდზე დიდია. ჩვენ ბევრი გვყავს ისეთი სტუდენტებიც, რომელთა პასუხის შესახებ გამომცდელები განსაკუთრებული აღფრთოვანებით გვესაუბრებიან. ბევრი მათგანის დასახელება ახლაც შეიძლებოდა, მაგრამ ჯერ მათ სხვა საგნების ჩაბარებაც დავაცალოთ, და შემდეგაც მოვესწრებით მათს გაცნობას.

უ. უნათლოშვილი

★

ახლა, გამოცდების დღეებში, კაბინეტები და საკითხველი დარბაზები სტუდენტებითაა გაჭედილი. კიდევ რამდენიმე გამოცდა დარჩა ჩასაბარებელი. ამიტომ საჭიროა ენერგიის მაქსიმალური დაძაბვა, რათა მოპოვებულ იქნეს მაღალი წარმატებები.

სურათზე: ქართული ენის კაბინეტში სტუდენტები ემზადებიან მორიგი გამოცდისათვის.

★

...ამხანაგი ბახუთოვს. ცნობისმოყვარეებს აინტერესებთ თუ რა ნიშანს დაუწერს ლექტორი.

...და, როგორც იქნა, ელირსა გამოსვლა...

მოგვითხრობენ პრაქტიკაზე მყოფი ჟურნალისტები

გასული წლის დეკემბერში ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების III კურსის სტუდენტები სასწავლო საწარმოო პრაქტიკას გადიოდნენ რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, აგრეთვე საქართველოს რადიოგადაცემათა კომიტეტში.

სტუდენტებმა პრაქტიკულად გაიცნეს აღნიშნული ჟურნალ-გაზეთების სარედაქციო მუშაობა, ცადეს თავიანთი კალამიც სხვადასხვა ხასიათის მასალების მომზადებაში.

იმის შესახებ, თუ რაოდენ კარგი დახმარება გაუწია ამ პრაქტიკამ ჩვენს ჟურნალისტ სტუდენტებს, ქვემოთ ვათავსებთ ერთ-ერთი მათგანის — ვ. გოგოლაშვილის წერილს.

მე კმაყოფილი ვარ

ამხანაგებს გაუკვირდათ, როცა პრაქტიკის ობიექტად ჟურნალი „საქართველოს კოლმეურნე" ავირჩიე. ყველა რადიო გადაცემათა კომიტეტში, „ახალგაზრდა კომუნისტის" და სხვა რედაქციაში მოხვედრას ცდილობდა, მე კი უცებ სასოფლო ჟურნალზე შევაჩერე ჩემი არჩევანი.

არ ვიცი, ამხანაგები რას ფიქრობდნენ. მე კი ჩემი სურვილი მამოძრავებდა. ძალიან მიყვარს სოფლის მეურნეობა, მისი ადამიანები — უბრალო ხალხი. ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში სწავლისას, რაიონული გაზეთის მეშვეობით ვცდილობდი დავახლოვებოდი ამ ადამიანებს, მეწერა ქვეყნისათვის მათს შრომაზე, სურვილებზე, სიხარულზე თუ გულისტკივილზე. ამჯერად, კოლმეურნეებთან უფრო ახლოს მისვლაში უეჭველად „საქართველოს კოლმეურნე" დამეხმარებოდა და მისი რედაქცია ავირჩიე.

შევდივარ გამიღიმა. ღიდებული ხალხი აღმოჩნდა რედაქციაში. გულთბილად მიმიღეს. პასუხისმგებელმა მდივანმა გაგიმართანიძემ ერთგვარი დანანებით მითხრა: — სამწუხაროდ აქ დიდი ოპერატიული მუშაობა არ გვაქვს. ხომ იცით, ჟურნალია. ისე კი ვეცდებით ჩვენგან გულნაკლული არ წახვიდეთ.

მაშინვე ერთ-ერთ, სახელდობრ, მეცხოველეობის განყოფილებაზე მიმამაგრეს. განყოფილების გამგე დავით ქათამაძე ახალგაზრდა კაცია და შეიძლება იმიტომაც მალე დავუახლოვდით ერთმანეთს.

სამუშაო იმ დღესვე გამიჩინეს, ლიტერატურულად უნდა დამემუშავებინა ერთ-ერთი რაიონის მეფრინველეობის ფერმის გამგის წერილი. წინათ ამხანაგებს თავს ვაწონებდი: სოფელში გაზრდილი ვარ და სოფლის მეურნეობა ხუთი თითივით ვიცი-მეთქი. მაგრამ წერილის გასწორებისას ცოტა არ იყოს ვერ დავდექ კარგ ხასიათზე. სოფლის მეურნეობაში არც ისე დიდი პროფესორი აღმოვჩნდი. ბევრი რამ ვერ გავარკვიე. ისტიბარს მაინც არ ვიტეხდი: მექათმეობა რა ჩემი საქმეა, ვენახზე ან ხორბალზე რომ იყოს წერილი, იმას კი ნამდვილად ჩავაბულბულებ-მეთქი. ჩემმა ცოდნამ, თქვენ წარმოიდგინეთ, აქაც მიმტყუნა. მევენახეობის განყოფილების გამგის დავალებით დავწერე წერილი სიღნაღის რაიონის სოფ. ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მევენახის ნინო ბეგიაშვილის შესახებ. წერილი მომიწონეს. მომიწონეს საქმის ცოდნაც. მაგრამ აქაც წავიბორძიკე. ვენახის დამუშავების წესები ბავშვობიდანვე მაქვს შესწავლილი, მაგრამ ახლა, როცა ამ დარგის შესახებ წერილი უნდა დამეწერა, აღმოჩნდა, რომ ტერმინოლოგიაში მოვისუსტებდი. მევენახეობის ლიტერატურაში სხვა ტერმინები ყოფილა დაკანონებული, მე კი ვიხმარე ისე, როგორც კახეთში ხმარობენ. საქმე არც ისე ცუდად ყოფილა, ათი ტერმინიდან ორში მომივიდა შეცდომა.

აი, რამდენი რამის ცოდნა სჭირდება ჟურნალისტს. მერე რა ცუდი გრძნობაა, როცა კარგად არ იცი ის, რაზედაც წერ.

ჟურნალში პრაქტიკამ ბევრი რამ შემძინა. მიუხედავად იმისა, რომ მეცხოველეობის განყოფილებაში ვიყავი, ვამუშავებდი წერილებს მექანიზაციაზე, მემინდვრეობაზე... ერთ თვეში, შეიძლება ითქვას, კარგად გავიწაფე სოფლის მეურნეობის საკითხებში.

განსაკუთრებით ბედნიერად ვგრძნობდი თავს, როცა რაიონში გამაგზავნეს მივლინებით. რა დასამალია, ამოვიღებდი ხოლმე ჯიბიდან მივლინების ფურცელს და ათჯერ მაინც წავიკითხავდი ჩემთვის საამაყო სიტყვებს: „ჟურნალ «საქართველოს კოლმეურნეს» სპეციალური კორესპონდენტი სიღნაღის რაიონში".

ხუთ დღეს დავრჩი რაიონში. ჩემთვის კოლმეურნეობაში მისვლა და წერილისათვის მასალების აღება პირველი არ იყო. მეშვიდე კლასიდან მოყოლებული უკვე ვწერდი კოლმეურნეების შესახებ რაიონულ გაზეთში, მაგრამ ამჯერად, რატომღაც ვღელავდი. ხუმრობა ხომ არ იყო, რესპუბლიკური ჟურნალის სპეციალური კორესპონდენტი ვიყავი.

ნაყოფიერი გამოდგა ჩემი მივლინება. რედაქციაში ხუთი წერილი მივიტანე. ნამუშევარი მომიწონეს. მრავალფეროვანი იყო ჩემი წერილების თემატიკა. დავწერე ნარკვევი მეკამეჩეობის ფერმაზე, წერილები ჯიშთა გამოცდის ნაკვეთზე, მევენახეებზე, მექანიზატორებზე, სკოლის ნორჩ ნატურალისტებზე.

ერთგვარად გული მწყდებოდა პრაქტიკის დამთავრებისას. ისე შევეჩვიე რედაქციას, რომ მენანებოდა დატოვება, რედაქციის მუშაკებიც, მგონი, ამას განიცდიდნენ:

— ნუ დაგვივიწყებ, სისტემატურად იარეთ ჩვენთან, ითანამშრომლეთ, წერილებიც დაგვიმუშავეთ და მივლინებებშიც კიდევ გაგაგზავნით.

მე აუცილებლად ვითანამშრომლებ მათთან. რედაქცია გახდება ჩემი მეორე უნივერსიტეტი.

ვ. გოგოლაშვილი,
ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების III კურსის სტუდენტი.

ქართულად ამეტყველებული ჩინური მარგალიტები

გასულ წელს სახელგამმა გამოსცა დიდი ჩინელი პოეტისა და ჰუმანისტის ბო ძიუ-ის ლექსების ქართული თარგმანები, შესრულებული თამაზ ჩხენკელის მიერ.

ბო ძიუ-ი ტანის ეპოქის (618—906 წწ.), ანუ ჩინური პოეზიის „ოქროს ხანის" ბრწყინვალე წარმომადგენელთაგანია. ამ ეპოქას ახსოვს ისეთი სახელები, როგორიცაა დუ ფუ, ლი ბო, მენ-ხაო-ჟანი, ვან-ვეი, იუან-ჯენი და თვით ბო-ძიუ-ი. ესენი იყვნენ ჩინური პოეზიის ოქროს მაძიებელნი, რომელთაც დაწმინდეს და გაამჭვირვალეს პოეზიის ზეცა, ხოლო ველ-მინდორი პოეზიისა თეთრგულა ლოტოსებით მოფინეს... მათ ერთამოსუნთქვიან ლექსებში იგრძნობა ტანის დინასტიის ხელქვეითი უზარმაზარი იმპერია ჩინეთისა, მთელი თავისი ბრწყინვალე ფარჩეულითა და ძონძებით, დიდებულებითა და ლატაკებით, მთელი თავისი გრძნობითა და უგრძნობლობით.

ბო ძიუ-ი, ისევე როგორც მისი თანამოკალმენი, თავისი გრძნობების გადმოცემას ძუე-ძუის ჟანრის პატარა, ოთხსტრიქონიანი ლექსებით ამჯობინებდა, იქნებ იმიტომ, რომ უფრო მეტი სინატიფე, უფრო მეტი სილრმე და განცდის უშუალობა მიეცა ლექსისათვის და მკითხველსაც გაადვილებოდა მისი შესუნთქვა. ამ უდიდეს პოეტს აინტერესებდა ადამიანი თავისი განწყობილებებით. მას გულს უმძიმებდა ტანჯვა უბრალო ხალხისა. ერთ-ერთ ლექსში იგი გულუბრყვილოდ ნატრობდა: ნეტავ შემაძლებინა ერთი ისეთი უზარმაზარი ხალათის შეკერვა, რომ ყველა ჯურის ხალხი შიგ მომეთავსებინა. მაშინ ხომ ცისქვეშეთში არცერთი ღატაკი არ გაიყინებოდაო!.. ბო ძიუ-ის პოეზიის დასახასიათებლად საკმარისია მისივე თანამედროვე დიდი პოეტის იუან-ჯენის სიტყვები: „ოცი წლის განმავლობაში ბო ძიუ-ის ლექსები იწერებოდა სახელმწიფო დაწესებულებათა, ტაძართა და სადგურთა კედლებზე და თაყლებს, ქალბატონებს, მწყემსებსა და მეჯინიბეებს ეს უკვდავი სტრიქონები ბაგეთაგან არ შორდებოდათ".

ბო ძიუ-ის პოეზია ნათელი ასახვაა მთელი იმ სოციალური უთანხმოებებისა თუ კლასობრივი წინააღმდეგობებისა, რომელიც ტანის ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი.

ბო ძიუ-ი თავის ლექსებს, სანამ მათ ხალხში გაავრცელებდა, თავის მოხუც ძიძას უკითხავდა ხოლმე, მასთან ამოწმებდა... და თუ იგი ვერ გაიგებდა ან არ მოეწონებოდა რომელიმე მათგანი, მაშინ ეს უდიდესი პოეტი კვლავ განაგრძობდა მუშაობას მასზე. ცდილობდა რაც შეიძლება მეტად დაეხვეწა ენა, რაც შეიძლება ხალხურად ექცია იგი, რათა უფრო ნათელი და გასაგები ყოფილიყო ყველასათვის მისი ფაქიზი გულის ძგერა, მისი სუნთქვა, მისი სულიერი სამყაროს თეთრგულა ლოტოსთა ნაზი შრიალი...

ბო ძიუ-ი ერთი პირველთაგანია მსოფლიოს ლირიკოსთა შორის. იგი ის პოეტია, რომელიც დაიბადა 772 წელს და რომელიც 846 წელს არ მომკვდარა.

სწორედ ეს უდიდესი კაცთაგანია ავტორი იმ პატარა, ლამაზი წიგნისა, რომელიც თამაზ ჩხენკელის მიერ შესრულებული თარგმანის სახით შეიძინა ქართველმა საზოგადოებრიობამ.

საკითხავია, როგორ აამეტყველა მთარგმნელმა ეს დიდი პოეტი ქართულად? ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ არავის დაებადება ეს კითხვა. აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. თამაზ ჩხენკელის მიერ შესრულებული თარგმანები ბრწყინვალეა.

ბრწყინვალეა უფრო იმიტომ, რომ ჩინელი პოეტის ქართულ ენაზე ამეტყველება უსაზღვროდ დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ქართულ ლექსს არასოდეს ჰქონია ჩარჩო, საზღვარი. იგი ყოველთვის სიტყვაუხვი, ჯებირებგადალახული და ამღერებული იყო. ხოლო სხვაა ჩინური ლექსი: სხარტი, უაღრესად ლაკონიური, — ერთი ამოსუნთქვა და მეტი არაფერი. სიძნელე სწორედ ამ ორი ქვეყნის პოეზიის უკიდურესობათა შეთანხმებაშია, რაც ახალგაზრდა მთარგმნელმა უდავოდ ოსტატურად შეძლო.

დახვეწილი ქართული ენა, ამოუწურავი მარაგი სიტყვათა, აზრების სიმჭვირვალე და პოეტურ ფერთა უაღრესი სიუხვე — აი, რას სთავაზობენ თამაზ ჩხენკელის მიერ ნათარგმნი ლექსები მკითხველს.

ზოგიერთ ლექსს დაჰკრავს თითქოს მწიგნობრული იერი, რაც მკითხველს მეცხრე საუკუნის წიაღში მიუძღვის მეგზურად. მთარგმნელს შესანიშნავად გადმოაქვს განწყობილებანი, განიცდის თერთმეტი საუკუნის წინ განცდილ ამბავს და შესწევს უნარი, რომ მკითხველსაც ასეთივე სიძლიერით განაცდევინოს ყოველივე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბო ძიუ-ის ლექსთა ჩხენკელისეული თარგმანები პირველად ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა ამ რამდენიმე წლის წინ, პირველი „ნათლობა" ამ თარგმანებმა მის ფურცლებზე მიიღეს და შემდეგ გავიდნენ საქვეყნო ასპარეზზე. ეს პატარა წიგნი ასამდე ლექსის თარგმანისაგან შედგება და ყოველი მათგანი უაღრესად ფაქიზად, ღრმა განცდითა და დიდი სიყვარულით არის გადმოქართულებული.

შ. კოტეტიშვილი

ფულად-ნივთობრივი ლატარია
„საკავშირო ახალგაზრდობის ფესტივალი“

პირობები

1. ფულად-ნივთობრივი ლატარია—„საკავშირო ახალგაზრდობის ფესტივალი“ — გათამაშება ტარდება 1957 წელს სსრ კავშირის ახალგაზრდობის ორგანიზაციების კომიტეტის მიერ.

2. ლატარიის რაოდენობა განსაზღვრულია 300 მილიონი მანეთის რაოდენობით. ამ თანხის მიხედვით, გამოშვებულ იქნება ლატარიის ბილეთები, თვითეული 3 მანეთის ღირებულებისა. ლატარიის ბილეთები გამოშვებულ იქნება ცალკეულ თანრიგებად, თვითეულში 15 მილიონი მანეთისა. სულ გამოშვებულ იქნება 20 თანრიგი. ყოველი თანრიგი დაიყოფება 50 000 სერიად — № 00001-დან № 50 000-მდე. ყოველ სერიაში შედის 100 ბილეთი № 01-დან № 100-მდე.

3. ლატარიის მოგებათა ტირაჟი შედგება 1957 წლის მაისში ქ. მოსკოვში. ტირაჟში გათამაშებულ იქნება 1 086 000 მოგება 100 მილიონი მანეთის საერთო რაოდენობით. ამ რიცხვში შედის 222 240 ნივთობრივი მოგება 80 324 800 მანეთის საერთო ღირებულებით.

ნივთობრივ მოგებებში შედის შემდეგი საგნები

№№ რ/რ.	მოგების დასახელება	მოგებათა რაოდენობა	ერთი მოგების ღირებულება
1.	ავტომანქანა — „ვოლგა“	20	30000
2.	ავტომანქანა — „მოსკვიჩი“	20	15000
3.	პიანინო	100	5265
4.	საბარგულიანი მოტოციკლი „მ-72“	100	5049
5.	მოტოციკლი უსაბარგულოდ „ИЖ-49“	200	3870
6.	მოტოციკლი უსაბარგულოდ „К-55“	1000	2500
7.	მოვერცხლისფრო-მოშავო მელიის გორჟეტები	100	2571
8.	ციგეიკის შუბები	100	2125
9.	ტელევიზორები	600	2100
10.	ფოტოაპარატი „კიევი-2“	600	2000
11.	მაცივრები „ЗИЛ—მოსკოვი“	600	2000
12.	ბაიანები	600	1620
13.	ახალგაზრდობისა და სტუდენტების VI მსოფლიო ფესტივალის საგზურები	200	1624
14.	ნავის სტაციონალური დასაკიდი მოტორები „СМ-255-Л“	200	1600
15.	აკორდეონები	100	1470
16.	შალის ნაჭრები ქალისა და მამაკაცის კოსტუმებისათვის	1000	1200
17.	II კლასის რადიოლები	600	1100
18.	ორადგილიანი რეზინის ნავები	100	800
19.	საკერავი მანქანები (ფეხის)	2000	875
20.	საკერავი მანქანები (ხელის)	2000	583
21.	II კლასის რადიომიმღებები	2000	765
22.	ფოტოაპარატები — „ზორკი-ს“	4000	755
23.	ფოტოაპარატები — „ფედ-2“	4000	700
24.	ფოტოაპარატები — „სმენა-2“	10000	180
25.	სარეცხი მანქანები	2000	750
26.	მამაკაცის ველოსიპედები დინამოთი	14000	648
27.	ქალის ველოსიპედები დინამოთი	12000	710
28.	ველოსიპედები — „ლასტოჩკა“	10000	506
29.	ველოსიპედები — „ორლენოკ“	10000	490
30.	ველოსიპედები — „შკოლნიკი“	10000	298
31.	მაცივრები — „სევერ-2“	2000	680
32.	მაჯის საათი — „ზარია“	8000	500
33.	მაჯის საათი — „პობედა“	8000	342
34.	მაჯის საათი — „ზვეზდა“	8000	342
35.	ექვსრიგიანი გარმონები	2000	500
36.	მტვერსასრუტები	2000	495
37.	ორლულიანი თოფები „მЦ“	2000	435
38.	ერთლულიანი თოფები „З-КБ“	4000	185
39.	სპინინგები კოჭითა და ნემსკავით	2000	250
40.	პატეფონები	10000	200
41.	სარბენი ციგურები ბატინკებით	10000	150
42.	მალფიძრები	18000	110
43.	სათამაშოები — „ავტოკონსტრუქტორი“	20000	60
44.	ავტოკალმისა და ფანქრის კომპლექტები	12000	60
45.	გატავალნია „Ш-2“	6000	36
46.	მოსწავლის ჩანთები	20000	32

დადგენილია შემდეგი ფულადი მოგებები:

გათამაშებულ იქნება აგრეთვე შემდეგი ფულადი მოგებები: 30 000 მოგება, თვითეული — 100-მანეთიანი, 3 000 000 მანეთის საერთო რაოდენობით; 833 760 მოგება, თვითეული 20-მანეთიანი, 16 675200 მანეთის საერთო რაოდენობით.

სალატარიო ბილეთის მფლობელს, რომელსაც მოგებად რაიმე ნივთი ხვდა, შეუძლია მისი სურვილისამებრ მიიღოს აღნიშნული ნივთის ფულადი ღირებულება.

4. ლატარიის ბილეთების მიხედვით, ფულადი მოგებები და აგრეთვე ის თანხა, რომელსაც ლატარიის ბილეთების მფლობელნი იღებენ ნივთობრივი მოგების ნაცვლად, გაიცემა შემნახველი სალაროების მიერ.

5. ყველა ნივთობრივი მოგების გაცემა იწარმოებს ფულად-ნივთობრივი ლატარიის მომწყობი ცენტრალური სალატარიო კომიტეტის მიერ (ქ. მოსკოვი, ბოგდან ხმელნიცკის ცენტრალური ქუჩა 3/13), რომელიც სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს საგამყიდვლო ორგანიზაციების საშუალებით მოგების მიმღებ პირთ მათი მისამართის მიხედვით უშუალოდ გადაუგზავნის ნივთობრივ მოგებას.

ნივთობრივი მოგების მისაღებად ლატარიის ბილეთები გადაიგზავნება ცენტრალურ სალატარიო კომიტეტში ფასიანი ღია წერილით თვითონ მოგების მფლობელი პირის მიერ. ბილეთთან ერთად გადაიგზავნება განცხადება, რომელშიც აღინიშნება: გვარი, სახელი, მამის სახელი და მიმღების ზუსტი მისამართი.

6. განაღდებისათვის იმ ლატარიის ბილეთების წარმოდგენა, რომელთაც მოგება ხვდათ წილად, შეიძლება 1958 წლის 1 იანვრამდე. ამ ვადის შემდეგ ლატარიის ბილეთები გასანაღდებლად აღარ მიიღება და ძალადაკარგულად ჩაითვლება.

ერთ-ერთი ყველაზე რთული ტრასა

(საუბარი ალპინიზმის სექციის ხელმძღვანელ დოც. ო. გიგინეიშვილთან)

ზამთრის არდადეგების პერიოდში უნივერსიტეტის ალპინიზმის სექცია აწყობს სამთო-სათხილამურო ლაშქრობას იალბუზის რაიონში. ალპინიზმის სექციის ხელმძღვანელმა დოც. ო. გიგინეიშვილმა აღნიშნული ლაშქრობის შესახებ ჩვენი გაზეთის წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა:

ამ ლაშქრობის ტრასა ერთ-ერთი ყველაზე რთული იქნება იმ ტრასებს შორის, რომელიც დღემდე გაუვლიათ ქართველ მთამსვლელებს სათხილამურო ლაშქრობის დროს.

უნივერსიტეტის მთამსვლელები — მასწავლებელი ი. ბაქრაძე, ლაბორანტი გ. როსტომაშვილი, ასპირანტები შ. მიოიანაშვილი და ვ. მიხაილოვი, სტუდენტები გ. და გ. აბაშიძეები, ო. ბერაძე, გ. პერძენიშვილი, გ. მახვილაძე, გ. სიბაშვილი, ლ. ღლონტი და მ. მეშკუდიანი, ფიზიკის ფაკულტეტის ლაბორანტის ო. ხაზარაძის ხელმძღვანელობით თბილისიდან გაემგზავრებიან 23 იანვარს. ისინი მატარებლით ჩავლენ ქ. ნალჩიკში, საიდანაც მანქანით გაემართებიან ტირნი აუზისაკენ ან სოფელ ფიჭენარისაკენ (ბაქსანის ხეობა), აქედან ისინი თხილამურებით განაგრძობენ გზას ჯერ თერთმეტის თავშესაფრის მიმართულებით, რომელიც იალბუზის ფერდობზე მდებარეობს, ხოლო შემდეგ გზას აიღებენ დონღუზ ორუნისაკენ, საიდანაც გზას განაგრძობენ და გადმოვლიან მესტიის რაიონში. ამინდის პირობების მიხედვით შესაძლოა ტრასის მიმართულება ნაწილობრივ შეიცვალოს.

ეს ლაშქრობა ამავე დროს წარმოადგენს მოსამზადებელ ღონისძიებას იმ სარეკორდო ასვლებისათვის, რომელთა განხორციელებაც განზრახული აქვს ჩვენს სექციას მომავალი ზაფხულის პერიოდში.

ამჟამად მონაწილენი მასწავლებელ ი. ბაქრაძის ხელმძღვანელობით გადიან სპეციალურ საწვრთნო ვარჯიშებს გამძლეობის გამომუშავებაზე. საწვრთნო ვარჯიშებში შეტანილია როგორც იარაღებზე ვარჯიშები, ისე სპორტული თამაშობანი.

ერთ-ერთ მოსაგვარებელ საკითხს წარმოადგენს საჭირო ინვენტარის უქონლობა. საჭიროა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრამ საჭირო ზომები მიიღოს აღნიშნული ინვენტარით სექციის უზრუნველსაყოფად, ხოლო ნ. ს. ს. „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკურმა საბჭომ, რომელიც არავითარ დაინტერესებას არ იჩენს ძირეული ალპინისტური სექციების მუშაობისადმი, ყველა ზომა მიიღოს, რათა უნივერსიტეტის ალპინისტური სექცია უზრუნველყოს საჭირო ალპინისტური და სამთო-სათხილამურო საჭურვლით.

ზამთრის პეიზაჟები

*

ფოტოეტიუდები უნივერსიტეტის ბაღიდან: ზემოთ — ლ. ქილაშვილისა, ქვემოთ — რ. ერისთავისა.

*

მეგობრობის კონცერტი

მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამით წარდგა თბილისის ოფიცერთა სახლში არმიელ მეგობრებისათვის გამართულ კონცერტზე ჩვენი უნივერსიტეტის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივი. მაყურებელმა დიდი ინტერესით მოისმინა სიმფონიური ორკესტრის შესრულებით ზ. ფალიაშვილის, რ. ლაღიძის, ჯ. პუჩინის, ჯ. ვერდის და სხვათა ნაწარმოებები.

ცალკეული არიები ოპერებიდან ნიჭიერად შეასრულეს ლ. კვანტალიანმა, რ. დავრიშაშვილმა, ნ. ანდღულაძემ, თ. ჩოჩუამ, კ. მაღრაძემ.

თავისი მხატვრულობით და პროგრამის მრავალფეროვნებით საინტერესო იყო კონცერტის მეორე განყოფილებაც. ჩვეული წარმატება ხვდათ ვოკალური კვარტეტის მიერ შესრულებულ ახალგაზრდა კომპოზიტორის ზ. ხელაიას სიმღერებს. სასიამოვნო მოსასმენი იყო ვოკალური დუეტიც ზ. ხელაისა და ს. კოროშინაძის შემადგენლობით.

ქორეოგრაფიული გააზრებულობით და მხატვრული გემოვნებით იქნა შესრულებული ცეკვები: „ფერხული“, „ხიმდი“, „განდაგან“ და „მთიულური“.

კონცერტი მეტად გულთბილ და ხალისიან ვითარებაში ჩატარდა.

გასწორება

ჩვენი გაზეთის ა. წ. 11 იანვრის ნომერში, მეოთხე გვერდზე მოთავსებული წერილის — „ერთი თარგმნილი წიგნის შესახებ“ — პირველ სვეტში მე-4 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: **„ვაჭრობის სამინისტროს სახწავლო დაწესებულებათა სამმართველოს“** და შემდეგ როგორც ტექსტშია.

იმავე ნომერში პირველ გვერდზე მოთავსებულ კორესპონდენციაში—„კრიოგენული ლაბორატორია“ — **„კრეაგენულის“** ნაცვლად ყველგან უნდა ეწეროს **„კრიოგენული“**.

უტექსტო ხუმრობა

რედაქტორი ირ. ვეშაპიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 3-28-60.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 1000. უე 00915.